ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #114

ქ. ბორჯომი **05 აპრილი 2019 წელი**

ერთის მხრივ **ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია,** მისამართი: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ.#5, საიდენტიფიკაციო კოდი: 226161961 (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის ლევან ლიპარტიას სახით

და მეორეს მხრივ **შპს ,,მეგა შოპი“** მისამართი: ქ. ახალციხე, ნიკოლაძის #39, საიდენტიფიკაციო კოდი: 400058085, (შემდგომში ,,მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის სერმან მურჯიკნელის სახით. (2012 წლის 07 სექტემბრის #120955486 მინდობილობა)

,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-9 მუხლის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა განახორციელა **საკანცელარიო ნივთების** (CPV 19400000, 22800000, 24900000, 31400000, 39200000) გამარტივებული შესყიდვა, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი შემდეგი თანხით: **1779 (ერთი ათას შვიდას სამოცდაცხრამეტი) ლარი 50 თეთრი.**

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ ,,ხელშეკრულება“) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ ,,შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 ,,მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში მითითებულ სტანდარტებს.

3. საპატენტო უფლებები

3.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 საქონლის მოწოდება ხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა 2019 წლის 01 ივლისამდე. (დანართი №1)
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
6.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
6.2 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი არის ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

7. ანგარიშსწორება
7.1 ანგარიშსწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.
7.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტისა და ანაზღაურებისათვის საჭირო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ფასები
8.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა
10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობის პირგასამტეხლო, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი;

ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს შესაბამის ინსტანციას ან საქმე განსახილველად გადასცეს არბიტრაჟს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა
16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

17. შეტყობინება
17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა
18.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

20. სხვა პირობები
20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
20.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

,,შემსყიდველი"

თვითმმართველი ერთეული
ბორჯომის მუნიციპალიტეტი,
ბორჯომი მესხეთის ქ.#5.
საიდენტიფიკაციო კოდი: 226161961,
ფინანსთა სამინისტროს
სახაზინო სამსახური,
სახაზინო კოდი 300629921,
ხაზინის ერთიანი ანგარიში
სხვა შემოსულობები, ბორჯომის თემი;

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი
ლევან ლიპარტია

,,მიმწოდებელი"

შპს ,,მეგა შოპი"
ქ. ახალციხე, ნიკოლაძის #39
საიდენტიფიკაციო კოდი: 400058085,
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
#GE91BG0000000857045000

შპს ,,მეგა შოპი"-ს დირექტორის მინდობილი პირი
სერმან მურჯიკნელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი

დანართი #1

#	საქონლის/ მომსახურების დასახელება	საქონლის/ მომსახურების ძირითადი მახასიათებლები	CPV - კოდი	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ღირებულება
1	2	3		4	5	6	7
1	ბლოკნოტი	ყოველდღიური ტყავის ყდით A5	22816100	ცალი	90	5.50	495
2	ბლოკნოტი	ზამბარიანი A5, 40–ფურცლიანი მუყაოს ყდით	22816100	ცალი	90	0.80	72
3	რვეული	A-4 ფორმატის 96 ფურცლიანი სქელი პრიალა ყდით და თეთრი მაღალი ხარისხის ფურცლით უჯრიანი	22815000	ცალი	95	1.80	171
4	რვეული	A-4 ფორმატის 48 ფურცლიანი სქელი პრიალა ყდით და თეთრი მაღალი ხარისხის ფურცლით უჯრიანი	22815000	ცალი	45	1.30	58.5
5	საქაღალდე	პლასტიკური ორი რეზინის დამჭერით	22852000	ცალი	65	1.50	97.5
6	ფაილი	A-4 არანაკლებ 0,35 მიკრონიანი (100 ცალი 1 შეკვრაში)	22852100	შეკვრა	160	3.50	560
7	ფაილი	A-3 არანაკლებ 0,35 მიკრონიანი (25 ცალი 1 შეკვრაში)	22852100	შეკვრა	35	2.50	87.5
8	ფაილ კომპლექტი	20_იანი A–4	22853000	ცალი	35	1.80	63
9	ფაილ კომპლექტი	40_იანი A–4	22853000	ცალი	45	2.40	108
10	წებო	მშრალი 21გრ.	24910000	ცალი	20	0.35	7
11	წებო	თხევადი 50მლ.	24910000	ცალი	20	0.4	8
12	ელემენტი	AAA ზომა	31440000	ცალი	20	0.4	8
13	ელემენტი	AA ზომა	31440000	ცალი	20	0.5	10
14	მაკრატელი	ლითონის 17სმ	39241200	ცალი	20	1.2	24
15	წიგნების შესაკერი ძაფი	კაპრონის	19400000	ცალი	5	2	10
	სულ:						1779.5

"შემსყიდველი" ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ლევან ლიპარტია

"მიმწოდებელი" შპს ,,მეგა შოპი"-ს დირექტორის მინდობილი პირი სერმან მურჯიკნელი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

96643687290512

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120955486

რეგისტრაციის თარიღი

07.09.2012 წ

ნოტარიუსი: ცისანა ნათენაძე
მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N65
ტელეფონი: 22-04-28

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

საქართველო

ორი ათას თორმეტი წლის შვიდ სექტემბერს, მე ნოტარიუს ცისანა ნათენაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.№65 მომმართა დავით ჩადუნელმა, რომელსაც სურს მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე დავით ჩადუნელის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობა. ეს მინდობილობა მე წავუკითხე დავით ჩადუნელს, რომელმაც განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას თორმეტი წლის შვიდ სექტემბერს, **დავით ჩადუნელი (დაბადებული 14.03.1965წელს, დაბადების ადგილი—ბორჯომი, პირადობის დამადასტურებელი საბუთი — პ/მოწმობა №დ 1357757 პირადი №11001022489 გაცემული სრს ბორჯომის სამსახურის მიერ 10.03.2010წელს, მოქმედების ვადა-10.03.2020, მისამართი-ბორჯომი დ. ახალდაბა შ. რუსთაველის ქ № 104),** რომელიც შემდეგი მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი", ამ მინდობილობით სრულ უფლებას აძლევს **სერმან მურჯიკნელს** (დაბადებული 01.01.1982წელს, დაბადების ადგილი—ახალქალაქი, პირადობის დამადასტურებელი საბუთი —პ/მოწმობა №დ 1241343 პირადი №07001004756 გაცემული სრს ახალქალაქის სამსახურის მიერ 21.04.2009წელს, მოქმედების ვადა- 21.04.2019 მისამართი: ახალქალაქი. ს. ბარალეთი), რომელიც შემდეგი მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი", რათა მან **შპს "მეგა შოპის"** დირექტორის **დავით ჩადუნელის** ნაცვლად გახსნას ბანკში (ბანკებში) ანგარიში, შეასრულოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, კერძოდ განახორციელოს გადარიცხვა, განაღდება და კონვერტაცია, ნებისმიერი ბანკის ნებისმიერ ფილიალში, განახორციელოს მუდმივი საგადასახადო დავალების მართვა, გადარიცხოს დღგ, აწარმოოს დეკლარაცია და საგადასახადო დოკუმენტაცია მოაწეროს ხელი ყველა საჭირო საბუთს მის მაგივრად, შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი პროცედურა, რაც საჭირო იქნება მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

სერმან მურჯიკნელს უფლებამოსილის იყოს **შპს "მეგა შოპის"** დირექტორის **დავით ჩადუნელის** წარმომადგენელი შესაბამის სახელმწიფო და ადმინისტრაციულ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის საგადასახადო ინსპექციაში, შემოსავლების სამსახურში, შეასრულოს ყველა საბანკო ოპერაცია და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს მის მაგივრად, რაც აუცილებელი გახდება ამ დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია გაუქმებადე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური — ათი (10) ლარი თანახმად, საქართველოს მთავრობის სანოტარო მოქმედებათა შესრულების საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, №507 დადგენილების 31 მუხლისა და ორი (2) ლარი სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, №507 დადგენილების 39 მუხლისა.

მიმნდობი ---------- დავით ჩადუნელი

ნოტარიუს: ---------- / ც. ნათენაძე /